PRINCES BAGRATION-DAVITISHVILI (RAMAZISHVILI/ RAMAZASHVILI)

თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილები (რამაზიშვილები/ რამაზაშვილები)

Joseph BichikashviliI
Chairman of the historical department of the House of Bagrationis Society,
Chairman of the Genealogical and Heraldic Society of Georgia.
Tbilisi. Georgia.
ORCID ID: 0009-0000-7133-5180
(+995) 557 56 39 93; adarnase3@gmail.com

Abstract

The dominant purpose of this article is to clarify issues related to the genealogy and chronology of one of the branches of the Kakhetian Royal Bagrationi Dynasty, the princes Davitishvili (Ramazishvili/ Ramazashvili).

In particular, the article sheds light on the inquiry of the origin of the princes Davitishvili and, at the beginning of the 17th century, the formation of their younger, lateral line - the princes Ramazishvili / Ramazashvili.

In the historical sources of the XVII-XVIII centuries, they are conspicuous as Ramazishvili or Ramazashvili. Based on historical records and documents of the 17th century, it turns out that the ancestor of the line of princes Ramazishvili / Ramazashvili was Prince Ramaz, son of Georgi Davitishvili. His descendants now live in Georgia, the older line in Tbilisi and the younger line in Kakheti - in the village of Pshavela.

The article provides a genealogical fragment of the princes Davitishvili and their offshoots of the princes Ramazishvili/Ramazashvili. The think piece also cites for the first time the charter of 1786 given by King Erekle II to Konstantin Ramazashvili.

Key words: Kakhetian Royal Bagrationi Dynasty, genealogy and chronology, princes Davitishvili (Ramazishvili/Ramazashvili).

იოსებ ბიჭიკაშვილი
„ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი,
„საქართველოს გენეალოგიის და ჰერალდიკის
საზოგადოების“ თავმჯდომარე.
თბილისი, საქართველო.
ORCID ID: 0009-0000-7133-5180
(+995) 557 56 39 93; adarnase3@gmail.com

აბსტრაქტი

ამ სტატიის მიზანია კახეთის სამეფო ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოს, თავადი დავითიშვილების (რამაზიშვილების/რამაზაშვილების) გენეალოგიასა და ქრონოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა. კერძოდ, სტატია ნათელს ჰფენს თავად დავითიშვილების წარმომავლობის საკითხს და XVII საუკუნის დასაწყისში მათი უმცროსი, გვერდითი ხაზის - თავადი რამაზიშვილების/რამაზაშვილების ფორმირებას.

XVII-XVIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში ისინი რამაზიშვილებად ან რამაზაშვილებად იხსენიებიან. XVII საუკუნის ისტორიულ წყაროებსა და საბუთებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ თავად რამაზიშვილების/რამაზაშვილების შტოს წინაპარი - რამაზ გიორგის ძე დავითიშვილი ყოფილა. მისი შთამომავლები დღეს საქართველოში ცხოვრობენ, კერძოდ, უფროსი შტო თბილისში, ხოლო უმცროსი ხაზი კახეთში - სოფელ ფშაველაში.

სტატიაში მოცემულია თავად დავითიშვილების და მათი განაყოფის თავად რამაზიშვილების/რამაზაშვილების გენეალოგიური ფრაგმენტი.

სტატიაში ასევე პირველად არის მოყვანილი მეფე ერეკლე II-ის მიერ კონსტანტინე რამაზაშვილისთვის მიცემული 1786 წლის სიგელი.

საკვანძო სიტყვები: კახეთის სამეფო ბაგრატიონთა დინასტია, გენეალოგია და ქრონოლოგია, თავადი დავითაშვილები(რამაზიშვილები/რამაზაშვილები).

შესავალი

XVI ს.-ის დასაწყისში ბაგრატიონთა კახეთის სამეფო დინასტიას გამოეყო ბაგრატიონ-დავითიშვილთა თავადური შტო. კახეთის მეფე ალექსანდრე I-ს (1476-1511) ჰყავდა ორი ვაჟი - ტახტის მემკვიდრე გიორგი უფლისწული და დემეტრე ბატონიშვილი. 1511 წელს გიორგი უფლისწულმა მამა მოკლა და ძმას „თუალები დასწვა“. გამეფებულმა გიორგი II-მ (1511-1513) თავისი უსინათლო ძმა კახეთში არ დააყენა და ქართლში გაამევა.

ქართლში იძულებით გადმოსახლებულმა დემეტრე ბატონიშვილმა სათავე დაუდო ბაგრატიონთა გვერდით შტოს. დემეტრე ბატონიშვილი გახდა თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების მამამთავარი. ახალი თავადური გვარის წარმოშობის შემდეგ, მათ „გაუგვარდათ სახელი“. XVI-XVIII ს.-ში თავადი დავითიშვილები ამ ახალი გვარით მოღვაწეობდნენ.

მე-XVII ს-ის დასაწყისში თავად დავითიშვილებს გამოეყო მათი უმცროსი შტო, რომლის ფუძემდებელი გიორგი რამაზის ძე დავითიშვილი

იყო. მე-XVII-XVIII ს-ში მისი შთამომავლები მოხსენებულნი არიან რამაზიშვილებად ან რამაზაშვილებად.

მე-XVIII-XIX ს-ში თავად კონსტანტინე გიორგის ძე რამაზიშვილი (ჩანს 1715-1736 წწ.) და მისი შთამომავლები ცხოვრობდნენ სოფელ ფცაში.

მე-XVIII ს-ის 20-იან წლებში ძმების, თავად ლევან და ხოხონა რამაზაშვილების შვილები გადასახლდნენ საცხოვრებლად კახეთში. ლევან რამაზის ძე დასახლდა კახეთის სამეფო სახლის სახასო სოფელ ფშაველში, ხოლო რევაზ და ელიზბარ ხოხონას შვილები სოფელ შილდაში.

თავად დავით ლევანის ძე რამაზაშვილის შვილიშვილმა, კონსტანტინე (კაკი) ლევანის ძემ, 1786 წელს სოფელ ფშაველში წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია ააშენა. მაგრამ მას ფშაველნი ედავებოდნენ ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებით. იმავე წელს, მან თხოვნის წიგნით მიმართა მეფე ერეკლე II-ეს, რათა მას გაერჩია ეს საქმე. მეფე ერელე II-მ და დედოფალმა დარეჯანმა გაარჩიეს ეს სადაო საქმე მის სასარგებლოდ.

მეთოდები

კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, არსებული წყაროების (წყალობის სიგელები, შეწირულობის სიგელები, განჩინებები) შესწავლის და მათი მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე კრიტიკული ანალიზის ხერხისა და ისტორიული წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე, დასკვნების გაკეთება.

შედეგები

წყაროების დამოწმებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა-გაანალიზების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თავად დავითიშვილების გვერდითი, უმცროსი განშტოება სათავეს იღებს XVII საუკუნეში და მისი ფუძემდებელია თავადი რამაზ გიორგის ძე დავითიშვილი. მისი შთამომავლები დღეს საქართველოში ცხოვრობენ.

მსჯელობა

XVI ს.-ის დასაწყისში ბაგრატიონთა კახეთის სამეფო დინასტიას გამოეყო ბაგრატიონდავითიშვილთა თავადური შტო. მეფე გიორგი XII-ის ვაჟის, იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილ თხზულებაში **„შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“** აღნიშნულია, რომ **„ქრცხინვალის, კერძოდ ნულის ხეობასა შინა“** ცხოვრობენ თავადი დავითიშვილები **„და არიან ორ სახლად: 1) ზაალის შვილებად, ხოლო 2) ელიზბარის შვილებად, ხოლო სხვანი მდაბალნი ამათისა გვარისანავე არიან ფცას მოსახლენი: შანშე შვილებით და სხვანი კვალად ლეონის შვილები“** და „**არიან გვარით ბაგრატოანნი“** (იოანე ბაგრატიონი, 1997:28). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით **„რამაზიშვილი და დავითიშვილი არიან ავ-გიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან** [ქართლის მეფე დავით X-მ (1505-1525)] **და არიან მიერთაგან აქა“** (ვახუშტი, 1973: 34) ანუ ქართლში.

კახეთის მეფე ალექსანდრე I-ს (1476-1511) ჰყავდა ორი ვაჟი - ტახტის მემკვიდრე გიორგი უფლისწული და დემეტრე ბატონიშვილი - **„ესუა ძენი ორნი, უხუცესსა ეწოდა გიორგი და უმრწმესსა დიმიტრი“** (ქართლის ცხოვრება, 1959:487).

მეფე ალექსანდრე I-ს და მის თანამოაზრე უმცროს ვაჟს დემეტრე ბატონიშვილს კახეთის თავადების ძლიერი ოპოზიცია უპირისპირდება ტახტის მემკვიდრე გიორგი უფლისწულის მეთაურობით. ეს გართულება სამეფო ოჯახში, ქართლის სამეფოსადმი დამოკიდებულების საკითხში უთანხმოებას მოჰყვა. კახეთის მეფე ალექსანდრე I და მისი უმცროსი ვაჟი დემეტრე ბატონიშვილი ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი სამეზობლო პოლიტიკის მომხრენი იყვნენ, ხოლო გიორგი უფლისწული ცდილობდა ქართლის შეერთებას. გიორგი უფლისწულმა კახეთის სამეფო კარზე ვერ მიაღწია მისთვის სასურველი პოლიტიკის წარმართვას და თვითონ **„დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა“** (ქართლის ცხოვრება, 1959: 487). გიორგი უფლისწულმა **„საზღვრამდის იმერეთისამდე მოარბევრეს ქართლი მრავალგზის“** (ქართლის ცხოვრება, 1959: 350). გიორგი უფლისწულის ეს ბრძოლა მიმართული იყო, კვლავ ქვეყნის გაერთიანებისაკენ, ვინაიდან ის იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII-ის (1446-1466) შვილიშვილი (ბიჭიკაშვილი, ნინიძე, ჩიქოვანი, 2003, ტაბულა #5-6), (ბიჭიკაშვილი, 2016:41-42), (ბიჭიკაშვილი, 2016:96,99,100), (Bichikashvili, 2021:349,405,508).

მეფე ალექსანდრე I და დემეტრე ბატონიშვილი ქართლის მეფის დავით X-ის (1505-1525) წინააღმდეგ მიმართულ საომარ გეგმას წინ აღუდგნენ და **„გარდაუდგნენ წინა საფურცლეს“** (ქართლის ცხოვრება, 1959: 350). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი უფლისწულმა **„არა მსმენელი ეშურვა მეფობასა მამისასა, რათა ჰყოს წადიერება თჳსი“** (ვახუშტი, 1973: 569) და **„ჭალასა შინა საფურცლესასა მოკლა მამა თჳსი, და ძმასა თუალები დასწვა, და ამიერიდან უწოდეს ავ-გიორგი, და იქმნა პატრონი კახეთისა“** (ქართლის ცხოვრება, 1959: 350). ეს ამბავი მოხდა 1511 წელს.

გამეფებულმა გიორგი II-მ (1511-1513) თავისი უსინათლო ძმა კახეთში არ დააყენა და **„ცოლითა და შვილითა გამოაგდო დემეტრე და მოვიდა მცხეთას და სვეტი-ცხოველს შემოეხუეწა. და იყო რაოდენიმე ხანი“** (ქართლის ცხოვრება, 1959: 488).

მეფე გიორგი II თავის 1511 წლის შეწირულობის სიგელში სვეტი-ცხოვლისადმი აღნიშნავს, რომ **„ცოდვისა საქმეს შევესწარ“** და აცხადებს, რომ იგი არის **„ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოს“** გამაერთიანებელი და **„აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“** მეფეთა მეფეა (კაკაბაძე, 1913: 44-45), (ნინიძე, 2004: 203).

ქართლში იძულებით გადმოსახლებულმა დემეტრე ბატონიშვილმა სათავე დაუდო ბაგრატიონთა გვერდით შტოს. დემეტრე ბატონიშვილი გახდა თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების მამამთავარი. თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილები ისტორიულ წყაროებში **„თვალდამწვრიანებად“** (გორგიჯანიძე, 1925: 299-300) იწოდებიან. ბაგრატიონთა საგვარეულოს ამ შტოს ქართლში გადმოსახლებას მათი გათავადება მოჰყვა. დემეტრე ბატო-

ნიშვილის ვაჟს დავითი ერქვა და მის შემდეგ, მათ დავითიშვილები ეწოდათ (ნინიძე, 2004: 204), (ბიჭიკაშვილი, 2016: 41-42).

ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს თავის თხზულებაში თავად ბაგრატიონ-დავითიშვილების წაარმომავლობასთან დაკავშირებით მოყავს განსხვავებული ვერსია. მან თავის თხზულებაში სპეციალური თავი დაურთო, რომლის სათაურია - „აქა ამბავნი თვალდამწვრიანთა“. მის თხზულებაში აღნიშნულია: „პაპა კახის ბატონებისა თეიმურაზ ყოფილა და მის უფროს შვილს დავით რქმევია და უმცროს გიორგი, უფროსი ძმა ათაბაგის ქალის შვილი ყოფილა დავით, ჩერქეზის ქალთან ჰქოლებია უმცროსი ძმა, გაუხდია და კარგი ცოლი შეურთავს და ბატონად დაუსვამს, ასრე მიუხსენებია უმცროსის ძმისა-თვის: „რომ ერთს ქნეყანაში ორი ხელმწიფე არ იქნებისო, რაც გემეტებოდეს მამული მამეცო“. კახეთის მეხუთეთამდისან მამული მიუცია, საყვარელი ძმანი, დავით მამაცობაში ნაქები ყოფილა, უხვი და უშურველი და მსმეველ-მჭმეველი და კაცთ-მოყვარული და ყველას გამწყო კაცი ყოფილა და კახნი ბატონის შვილობისათვის ემსახურებოდეს. ეს ჩოლაყაშვილებმა ბატონს გიორგის მოახსენეს: „კახნი შენს ძმას ემსახურებიანო, არ ვიცითო, თუ რა სწადიანო, სჯობსო რომ თვალები დასწვათო“. ბატონს უბრძანებია: „ამაში ღმერთი რას კარგს მიზავსო, გამზარდა და დამაქორწილაო და უფროსი ძმა იყო და თავისი ხელმწიფობა მე დამანება, რის გზით გამოვიმეტებო“. მაგრა არ დაესხნეს სიდამდისან თვალები არ დააწვევინეს და ამდენი სინათლე შერჩომოდა, რომ ხის ძირში მწოლეს ხიდამ ისრით ტრედი ჩამოუგდია. რა ეს შეუტყვია ჯაჰრაისათვის უთქვამთ: „ასეთი წამალა დააჰდევო, რომ სინათლე წაუხდინო, რომ ვეღარას ხედევდესო, ჰაქამსაც მათ თქმული უქმნია და შენარჩომი თვალის სანათლე მეორედ წაუხდენიათ“ და ბატონი დავით შაჰფურ ყაენთან მოსრულა ორის შვილითა, შაჰთამაზ ყაენს კარგის თვალით უნახავს და უბრძანებია: „კარგი შვილები გყვანანო“. ერთს შვილს გვერდი ფიქალი ჰქონებია. ერთი ძრიელი კაცი მამაცი, ცხენოსანი ჰყოლებია და ასრე უბრძანებია: „შენს შვილს იმას შევაბამო, თუ ჩამოაგდებსო კახეთს მივცემო“. თვალდამწვარს მოუხსენებია: „აგრე იყოსო. მაგრა ჩემი შვილი მისანდოს ცხენს შემისვითო“. თავილიდან ცხენები მოუსხამთ, არც ერთი მოსწონებია და ერთი კიდევ სხვა ცხენი მოჰგვარეს, ის მოიწონა და თქვა: „ეს ჩემის შვილისათვის კარგი არისო“ და შვილი გასეავლა და ასრე უბძანა: „შეეჯექ ამ ცხენსა და შუბი აიღე და ფარი მზათ დაახვედრეო, რომ შუბის შემოცემა არ დაგასწროსო“ და შეუსვამთ ორნივე ცხენებსა და მაედანში გასრულან და ქვეყანა სათამაშოდ იქ მოგროვებულ-იყვნენ, და ყაენმან იმ ცხენოსანს უბძანა: „თუ გარდმოგაგდებსო, თავს მოგკვეთო და თუ შენ ჩამოაგდებო ნუ მოჰკლავო“. კახმან ბატონის შვილმან გარდმოაგდო, თავი მოჰკვეთა და ყაენთან მოიტანა, ყაენმან კახეთი საჯილდოდ უბოძა და ფარი ფლურებით აუვსო და ქართლს წაიღო და იმით სოფლები იყიდა. „სიდამდისინ კახეთი დაიჭიროო ქართლ იყავვო“. უწინ დირბი, ბრეთი და ბებნისი იყიდა და ერთ შვილს ციციშვილის ქალი და მეორეს შვილს ფალავანდიშვილის ქალი შერთო და თავადები მოხმარებიან და დირბს მაგარი ციხე აუგია. მერმე კახს ბატონს უთქვამს: „თუ ის ქართლს არისო, არ მოგვასვენებსო, კახეთს წამართვამსო“. ადგა და მეფეს ლუარსაბს მოციქულები და მრავალი ფეშქაში

და აბრეშუმი გაუგზავნა და ასრე შესთვალა: „ყოველ-ახალს წელიწადს ამდენს საპალნეს აბრეშუმს მოგართმევო, დავითს ჩემს ძმას დირბის ციხე დაუქციეთო და თქვენს მამულში ნუ დააყენებთო და მისი მამული მის ძმას რამაზს მიეციეთო“. ამათაც დაუჯერეს, დირბის ციხე დაუქცივეს და მისი მამული მის ძმას რამაზს მისცეს და თავით იმერეთს მეფესთან მივიდა და იმან ზემო ქართლში ნული, თორმანეული, ღვერთეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთას-ჯვარა, მოხის რუისის გლეხები და საყდარ სასაფლავოთ, აზნაურნი ხერხაულიძენი და ტატიშვილები მიუციათ. რამაზ მეფეს მოსწონებია და ეს სოფლები შაჰთამაზ ყაენის ნაბოძების ოქრო-ვერცხლით უყიდიათ და შაჰთამაზ ყაენი მამკვდარა და ესენი ქართლს დარჩომილან და კახი ბატონი შვიდის ათასის კაცით ნასყიდს მამულში მიუხდა და იმათ მუხრანის ბატონი მოსდგომიან და იმათ შვიდასი კაცი შეეყარათ და შვიდს ათას კაცს შემობმოდენ და გაემარჯვებინა და იმერელ მან მეფემ რამაზს ქალი მოსცა და ქართლსა და იმერეთში იმას უკეთესი კაცი არ იყო და სახელმწიფო კარგი მზითევი მოჰყვა, სამცხესაც მამული მიუცია და შვიდი ვაჟი უშობია მეფის დასთან კოსტანტიელა, (ელიზბარ), სიაოშ, გიორგი, დავით ბოქაულთუხუცესი ყოფილა და სიაოშისათვის სვიმონ მეფეს ყლიჯყორჩობა მიეცა და გიორგი იმათი უმცროსი ძმა გაეგდოთ და ერთი მსახურის არ მისცეს. მაგრა საცა მეფე წავიდის თან-გაჰყევის, ვინც ნახევდა იკითხევდა, თუ ვინ არისო, მეფე ბრძანებდა „რამაზის უმცროსი შვილიაო“. ყველანი მრავალს მისცემდენ. მაგრა ნამეტნავად უყმობას შეწყენილ იყო. დედა მისი შავშეთის ბატონის ქალი ყოფილა, მეფის ქალის შვილი იყო, სამცხეს სამშობლოსას იყო და გეორგიც დედასთან წავიდა ვითაც ბერათ შეეყენებინათ, დედას გაუტყდა ასრე მოახსენა: „დედავო, ბერობა არ შემიძლიაო“. ამის თქმისა თვის დედა გაუწყრა და შვილი შემოსწერა და მამიდასთან წავიდა, მამიდას ბიძაშვილი ავადმყოფი ჰქოლია და ამას ერთი კარგი ცოლი ჰყოლებია, გიორგი უნახავს და შეჰყვარებია და ასრე უთქვამს: „შენისთანა კარგი და ლამაზი ვაჟი კაცი რასთვის უნდა ბერად იყოსო, ღმერთმან შენი თავი მე ქმრად მამცესო, თორადა მამის ჩემისა ამდენი მამული და სოფლები და საქონელი დამრჩომიაო, რომ შენ გეყოფისო და ასი ყმაც შეინახო მაინს კმარაო“. დედაკაცს ნატრა აუხდა, იმ ავადმყოფობასაგან ქმარი მოუკვდა და ბერი გაიპარსა და ცოლად შეირთო და სამცხეს დარჩა. სიმამრის მამულზედ მორჭმული და მოვლენილი ძმათა თანა გაღარიბებული უყმოთ გაგდებული, ღმერთმან ხელი მოუმართა და აღარავის ამარას არ გახადა“ (გორგიჯანიძე, 1854: 557-559).

პირველი დოკუმენტური ცნობები თავად დავითიშვილების შესახებ, ქართულ ისტორიულ წყაროებში გვხვდება XVI საუკუნიდან (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფონდი Hd-17971 (1565-1583 წწ.), (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ.II, 1993:532-533). XV საუკუნის II ნახევარში, ერთიანი საქართველოს მონარქიის დაშლის შემდეგ, წარმოიშვა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში დიდი და მცირე სათავადოების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ერთ-ერთი ასეთი სათავადო იყო სადავითიშვილოც, რომელიც XVI ს-ის I ნახევარში შეიქმნა (ნინიძე, 1999:4-21), (Гвасалиа, 1991:117).

ისტორიული წყაროების ცნობების თანახმად, თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებს ქართლის სამეფოში მამულები ჰქონდათ ჯერ დირბში, ბრეთაში და ბებნისში, ხოლო შემდეგ ნულში, აბანოში, ფცაში, თორმანეულში, ბროწლეთში, სტკოცაში და სხვ. მათი რეზიდენცია იყო ნულში, აბანოსა და ფცაში. ხოლო საგვარეულო საძვალე კი რუისის ეკლესიაში (ნინიძე, 1999:63-66), (Бакрадзе, 1873: 1071-1072).

თავად დავითიშვილთა აზნაურები იყვნენ: ტატიშვილები, რიკაძეები და რამინიშვილები (გეორგიევსკის ტრაქტატი, 1983: 63).

თავად დავითიშვილების სათავადო, ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა სათავადოები, კერძოდ, ამილახვრების, მაჩაბლების, ფავლენიშვილების, ამირეჯიბების, ხიდირბეგიშვილების, დიასამიძეების, თაქთაქიშვილების და სხვ., ქართლის სამეფოს მემარჯვენე სადროშოს შეადგენდა. მემარჯვენე სადროშოს სპასალარებად, ანუ სარდლებად, ტრადიციულად, თავად ამილახვართა გვარის წარმომადგენლები იყვნენ (ხეც, ფონდი Hd-2124 (1606-1648 წწ.)), (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991: 115), (Анчабадзе, 1990: 164), (Джорджадзе, 1989: 159-160).

ახალი თავადური გვარის წარმოშობის შემდეგ, მათ „გაუგვარდათ სახელი“ (ნინიძე, 2004:211). XVI-XVIII ს.-ში თავადი დავითიშვილები ამ ახალი გვარით მოღვაწეობდნენ (ნინიძე, 1999:27-49).

XVI საუკუნიდან მოყოლებული თავად დავითიშვილთა გვარის წარმომადგენლები, ქართულ ისტორიულ საბუთებში არაერთხელ იხსენიებიან.

XVI-XVIII საუკუნეებში თავად დავითიშვილთა გვარის წარმომადგენლები აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც მეფის კარისკაცნი, კერძოდ, ბაგრატ დავითიშვილი სუფრაჯი იყო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 20), დავით დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი იყო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 27), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #2286 (1608 წ.), (ხეც, ფონდი Ad-1084 (1637 წ.), (ხეც, ფონდი Hd-14633 (1614-1619 წწ.), (ხეც, ფონდი Hd-14659 (1633-1658 წწ.), (ხეც, ფონდი Hd-15041 (1633- 1658 წწ.), (ხეც, ფონდი Qd-7017 (1633-1658 წწ.), (ხეც, ფონდი Qd-8235 (1634 წ.), (ხეც, ფონდი Sd-555 (1610 წ.), (ხეც, ფონდი Sd-556 (1633 წ.), (ხეც, ფონდი Sd-603 (1642 წ.), (ხეც, ფონდი Sd-604 (1645 წ.), ელიზბარ დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი იყო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 28), (ხეც, ფონდი Ad-1084 (1637 წ.), (ხეც, ფონდი Sd-603. 1642 წ.), (ხეც, ფონდი Sd-604. 1645 წ.), (საქართველოს სიძველენი, 1909: 230), (ხეც, ფონდი Sd-602 (1635 წ.)), (ხეც, ფონდი Hd-3240ბ (1650 წ.), (ხეც, ფონდი Hd-4170 (1654 წ.), (ხეც, ფონდი Hd-5227 (1658 წ.), (ხეც, ფონდი Sd-605 (1656 წ.), (ხეც, ფონდი Sd-794 (1648-1656 წწ.), (ხეც, ფონდი Qd-8710. 1666 წ.), (ხეც, ფონდი Qd-8925. 1666 წ.), დავით დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი იყო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 17,19), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბუთი #1287 (1673 წ.), ელიზბარ დავითიშვილი - ბოქაულთუხუცესი და დარბაზის ბატონი იყო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, 1993:29), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #2286 (1608 წ.), დავით დავითიშვილი - ეშიკაღასბაში იყო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 26), (ხეც, ფონდი Sd-601 - სპარსულ ნაწილში (1633 წ.), შიოშ (სიაოშ) დავითიშვილი - ყლიჭყორჯი

იყო (გორგიჯანიძე, 1913: 359), დავით დავითიშვილი - ზემო ახალდაბის და დირბის მოურავი იყო (ხეც, ფონდი Qd-8235 (1634 წ.), (საქართველოს სიძველენი, 1909:26,230), შანშე რამაზიშვილი (დავითიშვილი) - მილახვარი (ხეც, ფონდი Hd-11400. 1782 წ.), (ხეც, ფონდი Hd-2624. 1791 წ.)), (ხეც, ფონდი Hd-6372. 1797 წ.), (ბერძენიშვილი, 1953: 121,155,187), როსტომ რამაზიშვილი (დავითიშვილი) - მილახვარი (თეიმურაზ ბაგრატიონი, 1972: 56).

მე-XVII ს-ის მანძილზე ბოქაულთუხუცესის სახელო თავად დავითიშვილთა საგვარეულოში, მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო (ხეც, ფონდი Qd-8235 (1634 წ.), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბუთი #1287 (1673 წ.), (ხეც, ფონდი Hd-10348 (1688-1703 წწ.), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბუთი #2286 (1608 წ.).

თავადმა დავითიშვილებმა თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ნათესაური კავშირი დაამყარეს ქართლის სამეფო დინასტიასთან - ბაგრატიონებთან. თავადი დავით დავითიშვილის ასული, რომლის სახელი უცნობია, ქართლის მეფე სიმონ I-ის (1556-1600) ძმის, ვახტანგ ბატონიშვილის შვილის თეიმურაზ-მირზას მეუღლე გახდა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925:263), (ცხოვრება საქართველოსი, 1980:103), (ნინიძე, 1993:73). მოგვიანოდ კი თავადი დავით დავითიშვილის ასული თამარი, ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-1688,1703-1709) მეუღლე გახდა (ვახუშტი, 1973: 454), (მცირე ქრონიკები, 1968: 35,49), (ჟორდანია, 1897: 494,497-498).

მე-XVIს-ისმეორენახევარშიცხოვრობდადამოღვაწეობდათავადირამაზ დავითიშვილი (ბიჭიკაშვილი, 2016:203,207), (Bichikashvili, 2021:399,518), (ნინიძე, 1999:14-15), (ნინიძე, 2004:210-213), (ხეც, ფონდი Sd-555 (1610 წ.)), (Пайчадзе, 1979: 198). მას ჰყავდა ორი მეუღლე. მისი პირველი მეუღლე იყო იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565) ასული, რომლის სახელი უცნობია (გორგიჯანიძე, 1925: 300). თავად რამაზ დავითიშვილს აქტიურ მხარდაჭერას მისი სიმამრე, იმერეთის მეფე ბაგრატ III უჭერდა. **„იმერეთის მეფემ რამაზს ქალი მოსცა და ქართლსა და იმერეთში იმის (რამაზის) უკეთესი კაცი არ იყო“** (გორგიჯანიძე, 1925: 300). ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, თავად რამაზ დავითიშვილს მისგან შემდეგი შვილები შეეძინა: კონსტანტინე, ელიზბარ, სიაოშ ყლიჯყორჩი და დავით ბოქაულთუხუცესი (ბიჭიკაშვილი, 2016:207-209), Bichikashvili, 2021:518). რამაზ დავითიშვილს მეორე მეუღლისაგან, **„შავშეთის ბატონის ასულისაგან“**, რომლის სახელი ასევე უცნობია, ჰყავდა უმცროსი შვილი გიორგი (ჯანაშვილი, 1904), (ბიჭიკაშვილი, 2016:203,209), (Bichikashvili, 2021:518).

თავად რამაზ დავითიშვილის და მისი შთამომავლების წარმომავლობა ასახულია, ასევე მე-XVII ს-ის II ნახევრის რუსულ წყაროში: **“Роспись поколенная князей грузинские земли князя Хохоны да князя Элизбара Романовичев Давыдовых”,** სადაც აღნიშნულია: “**На Грузинском царстве был царем после прапрародителей своих царей и прадеда, и деда, и отца своего царя Давыда** (უნდა იყოს Георгия, ი.ბ.) **царь Александр, а у него были два сына: царевич Георгий Александрович, царевич Димитрий Александрович. И царевич Георгий Александрович по жестокосердию своему отца своего, царя Александра Давыдовича (უნდაიყოს Георгиевича, ი.ბ.) убил досмерти, а у**

меньшего брата своего царевича Димитрия Александровича, выжег очи и дал ему удельные городы, а сам стал царствовать на грузинском царстве и царевич Димитрий Александрович еще опасаясь его на себя всякого зла, оставя удел свой, отъехал к сроднику своему, к карталинскому царю. И карталинский царь дал ему удел же...” (“Роспись...”, 1979:197). ამავე წყაროში დაცულია ცნობა XVI-XVII სს. თავად დავითიშვილების შესახებ: **“А у меньшего царевича Димитрия Александровича, у которого брат ево, царь Георгий, выжег очи, сын княз, Давид Димитриевич, а у князя Давида Димитриевича сын, князь Роман** (Рамаз, ი.ბ.) **Давыдович, а у князя Романа Давыдовича дети: князь Константин, да князь Элизбар, да князь Давид Романович”** (“Роспись...”, 1979:198).

თავად რამაზ დავითიშვილის ვაჟის კონსტანტინეს შვილიშვილები - ხოხონა და ელიზბარი, 1666 წელს ერეკლე ბატონიშვილთან (შემდგომში ერეკლე I, ი.ბ.) ერთად რუსეთში გადასახლდნენ და თავად დავიდოვების და ხოხონა-დავიდოვების ფუძემდებლები გახდნენ (ბიჭიკაშვილი, 2016:211), (Bichikashvili, 2021:518), (Российская родословная книга, 1856:472), (Дворянские роды Российской империи.., 1996:79). რუსეთში, მათი შთამომავლების ხაზი შეწყდა XIX ს-ის ბოლოში.

თავად რამაზ დავითიშვილის ვაჟი დავით ბოქაულთუხუცესი, გახდა თავად დავითიშვილების მთავარი შტოს ფუძემდებელი (ხეც, ე.თაყაიშვილის ფონდი #612), (ბიჭიკაშვილი, 2016: 203,208), (Bichikashvili, 2021: 518), რომლის შთამომავლები დღეს საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ.

მე-XVII ს-ის დასაწყისში თავად დავითიშვილებს გამოეყო მათი უმცროსი შტო, რომლის ფუძემდებელი გიორგი რამაზის ძე დავითიშვილი იყო. მე-XVII-XVIII ს-ში მისი შთამომავლები მოხსენებულნი არიან რამაზიშვილებად ან რამაზაშვილებად (საქართველოსსიძველენი, ტ.III, 1910:180), (ხეც, ფონდი Hd-1786 (1664 წ.), (სეა, ფონდი 1449, საბ. #1309 (1666 წ.), (ხეც, ფონდი Qd-9255 (პ) (1715 წ.), (ხეც, ფონდი Qd-10154-ლზ (პ) (1754-1774 წწ.)), (ხეც, ფონდი Hd-6181 (XVIII ს.), (ხეც, ფონდი Hd-6279 (1799 წ.), (ხეც, ფონდი Hd-6401 (1801 წ.), (ხეც, ფონდი Sd-1144 (1807 წ.), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. # 947 (1739 წ.), (სეა, ფონდი 1449, საბ. # 756 (XVIII ს.).

მე-XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე არაერთხელ და არაერთი ქართლის ან კახეთის მეფეს გაურჩევია თავად დავითიშვილების და მათი განაყოფის რამაზიშვილების/ რამაზაშვილების სამამულო დავები. რამაზიშვილები დავითიშვილებს მამულებს ედავებიან, ხოლო დავითიშვილები მათ **„სახლიკაცობას“** არ აღიარებენ და ხაზს უსვამენ: დავითიშვილების **„მამულში მათთვის წილი არავის დაუდვია“** (ნინიძე, 2004:217). 1634 წელს ქართლის მმართველმა როსტომ-ხანმა (1633-1658) დავითიშვილების და რამაზაშვილების სამამულო დავა გაარჩია, რომელიც დავით ბოქაულთუხუცეს და მის ძმისშვილს რამაზ გიორგის ძის შორის იყო. როსტომ-ხანმა მამულები **„თავდადებით ნამსახურსა ყმასა, დავითიშვილს, ბოქაულთ-უხეცესს დავითს და შვილთა თქუენთა კონსტანტინეს და ელიზბარს და შვილთა და ჩამომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა, თქუენსა და თქუენისა ძმისძულის რამაზის გარდაწყვეტილების წიგნს გუიაჯენით“** და **„მამულებზედ**

თქუენ (დავითი) და რამაზ ისარჩვებოდით“ (საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909:231). ამ საკითხის განხილვის შემდეგ **„გამოიფიცა დავით და გამოიტანა ფიცითა თავისი ნაშოვნი ჴელმწიფეთაგან აზნაურშვილები ერთობით ტატიშვილები მათის მამულით, სოფელი ბროწლეთი, მათი კერძი, სოფელი ნული ციხით და სასახლითა, სოფელი აბანო, სოფელი სატივე, ამირეჯიბიანთა განნასყიდი, სოფელი წაბლოვანა, სოფელი სტკოცა და რიკაძეები მათის მამულით“** (ნინიძე, 1999:22-23), (საქართველოს სიძველენი, 1909: 231). მიუხედავად იმისა, რომ მამულები დავითიშვილებს დარჩათ, რამაზაშვილები XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე მათთან დავას პერიოდულად აგრძელებდნენ (სეა, ფონდი 1449, საბ. #756 (XVIIIს.)), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. # 5596), (ქართული სამართლის ძეგლები, 1972: 188-189,260-263), (ქართული სამართლის ძეგლები, 1977: 76-78).

XVII საუკუნის ბოლოს ქართლის და შემდეგ კახეთის მეფ ეერეკლე I-მა (1688-1709), სამამულო დავა დავითიშვილებსა და რამაზაშვილებს შორის, რამაზაშვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამის შესახებ ცნობები შემონახულია 1715 წლის ქართლის მეფე იესეს (1714-1716,1724-1727) სიგელში (ხეც, ფონდი Ad-1040 (1715 წ.)), (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972:260-263) და 1798 წლის განჩინების წიგნში (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. # 5596), (ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, 1977:76-78). მეფე იესეს სიგელის ცნობით: **„ამ საქმეზედ... ერეკლე მეფესთანაც ელაპარაკნათ და წამოსდავებოდენ“,** ელიზბარ დავითიშვილს თავისი **„წიგნები“** და **„განაჩენები“ „აქ არა ჰქონებოდა, მამასიმის (დავითს) ისპაანს ბედნიერის ყეენის მისართმეველად თურმე წაეღო“** და ამიტომ დავითიშვილებისათვის **„მოსამართლეთ სამართალი დაეკლოთ და ზოგიერთი მამულები დავითიშვილისათვინ წაერთმევინათ და რამაზიშვილებისათვის მიეცათ“** (ნინიძე, 2004:240), (ხეც, ფონდი Qd-9257 (1715 წ.)). 1798 წლის განაჩენის წიგნის თანახმად, მეფე ერეკლე I **„რამაზიშვილებს უწერს დავითიშვილების სახლიკაცობას“,** სადაც აღნიშნულია, რომ თავად ელიზბარ რამაზიშვილმა მეფე ერეკლე I-ის დროს **„ყეენის რაყამი მოიყანა“** და **„თავისი სამკვიდროს მამულის წილი გაიტანა“.** შემდეგ **„ეს განაყოფებიც (რამაზიშვილებიც) გაიყარნენ და ეს დავითიშვილებიდან გამოტანილი მამული გაიყვესო. ლევან (რამაზაშვილს) იმ რაყამის გამოტანაში ყეენის კარზედ თეთრი დაეხარჯაო, ამის სამუქფოდ და საჭირნახულოდ, ლევანს მივეცით რიკაძე...“** (ნინიძე, 1999:50), (საქართველოს სიძველენი, 1910: 180).

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ერთი ცნობა ფეშანგის „შაჰნავაზიანში“-ა მოყვანილი. მასში აღწერილია 1658-1664 წლების ისტორიული ამბები, რომლებიც მეფე ვახტანგ V-ის (1658-1676) და ერეკლე ბატონიშვილის (ერეკლე I-ის) ბრძოლასთან დაკავშირებული იყო. „შაჰნავაზიანის“ ამ ნაწილის სახელწოდებაა **„აქა იმა მუხანათმა და ხაინმა ყურჩიბაშმა ბარამ შარი ერის ორგულობა მოინდომა და ერეკლეს საბირებელი და საეშმაკო წიგნები მისწერა და ესე შეუთვალა: ორნი მეფენი ულაშქრო და ქა დგანან, თუშნი შეიყარედა თავსა დაესხით უცილოდ“** (ფეშანგი, 1935:219). ქართლის თავადთა ერთი ნაწილი, განუდგა ვახტანგ V-ს და მიემხრო ერეკლე (I-ს). მათ შორის დასახელებული **„რამაზაშუილი“** (ფეშანგი,

1935: 179). **„შაჰნავაზიანში“** დასახელებული **„რამაზაშუილი“,** მკვლევარ დ.ნინიძეს აზრით, არის მეფე ერეკლე I-ის დროს დავითიშვილებისა და რამაზიშვილების სამამულო დავაში მონაწილე ელიზბარ რამაზიშვილი. მკვლევარი დ.ნინიძე აღნიშნავს, რომ **„როგორც ჩანს, ელიზბარი თავიდანვე ერეკლე I-ის აქტიური მხარდამჭერია, რამაც, მისი გამეფების შემდეგ, სათანადო გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაში. ალბათ, ერეკლე I-მა დაუფასა ელიზბარ რამაზიშვილს მისდამი ერთგულება და სადავო საკითხი დავითიშვილთა საზიანოდ და რამაზიშვილთა სასიკეთოდ გაარჩია“** (ნინიძე, 2004: 241).

თავად ელიზბარ რამაზიშვილს, რომელიც მეფე ერეკლე I-ის მომხრე იყო, ჰყავდა 3 უმცროსი ძმები - რამაზ (ჩანს 1634-1670 წწ.), (Дворянские роды Российской империи. 1996:79), (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972:261), გიორგი (ჩანს 1665-1675 წწ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, 2007:52-53) და გულიტა (ჩანს 1664 წ.) (ხეც, ფონდი Hd-1786 (1664 წ.)). მათ შესახებ ისტორიულ წყაროებში ძალიან ცოტა ცნობები არის შემორჩენილი. რამაზ რამაზაშვილს ჰყავდა სამი შვილი - ლევანი (ჩანს 1715-1732 წწ.) (საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910:180), (ხეც, ფონდი Ad-1040 (1715 წ.)), (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972:309), (ხეც, ფონდი Hd-473 (1725 წ.)), (ხეც, ფონდი Qd-8236 (გ) (1732 წ.)), ხოხონა (ხეც, ფონდი Ad-1040 (1715 წ.)), (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972:260-263), (ხეც, ფონდი Qd-8236 (გ) (1732 წ.)) და ასული მარიამი, თავად სარიდან რევაზის ძე ამირეჯიბის მეუღლე (Дворянские роды Российской империи. 1996:79). ასევე ლევან რამაზაშვილი მოხსენებული არის 1798 წლის განჩინების წიგნში (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #5596), (ქართული სამართლის ძეგლები, 1977:76-78). გიორგი რამაზაშვილი თავის შვილებთან პაპუნა და სეხნიასთან ერთად გადასახლდა ქვემო ქართლში და საბუთის თანახმად „თათრის ხელში“ ყოფილა ცოლშვილიანად. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დომენტი III-მ (1660-1676) იგი ტყვეობიდან დაიხსნა და დაასახლა სოფელ თავმგრგვალში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2007:52-53), (Какабадзе, 1967: 345). გულიტა რამაზაშვილი თავის შვილებთან რამაზთან და პაპუნასთან ერთად ცხოვრობდა თავად დავითიშვილების რეზიდენციაში, სოფელ აბანოში (ხეც, ფონდი Hd-1786 (1664 წ.).

მე-XVIII-XIX ს-ში თავად კონსტანტინე გიორგის ძე რამაზიშვილი (ჩანს 1715-1736 წწ.) და მისი შთამომავლები ცხოვრობდნენ სოფელ ფცაში (ბიჭიკაშვილი, 2016:277-286), (Bichikashvili, 2021:400,527,528), (Дворянские роды Российской империи. 1996:79), (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2007:261).

მე-XVIII ს-ის 20-იან წლებში ძმების, თავად ლევან და ხოხონა რამაზაშვილების შვილები გადასახლდნენ საცხოვრებლად კახეთში. ლევან რამაზის ძე დასახლდა კახეთის სამეფო სახლის სახასო სოფელ ფშაველში (ხეც, ფონდი Hd-1513), ხოლო რევაზ და ელიზბარ ხოხონას შვილები სოფელ შილდაში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, 2007:320), (სეა, ფონდი 1449, საბ. #1281). მათ დავა ჰქონდათ თავად რუსიშვილებთან შილდასთან დაკავშირებით. 1725 წლის მდივანბეგების განჩინების წიგნის თანახმად,

რომელიც მოგვიანოდ მეფე ერეკლე II-მ (1744-1798) დაამტკიცა, აღნიშნულია: **„ქ. რუსისშვილს გუნასა და შერმაზანის შვილსა ბიბოს და ხოხონაშვილს რევაზს და ელიზბარს რომ შილდის მთა და ბარი და საღალო რომ ხელათ სჭერიათ, მოვიდნენ და ნეკრესლის ყმები მთისა და ბარის გამოსავალსა და სახნავებს შემოეცილნენ, რომ მთასა და ბარში წილი გვიძევსო და ამაზედ ლაპარაკი შე(ე)ქნათ. ჩვენც ისე გავარიგეთ და ხელახლა სამართლით დარჩათ; როგორათაც ძველთაგან განსაზღვრული ბოლო ყოფილიყოს და მიჯნებას ხდომილიყოს, იმ რიგათ დაგვიმტკიცებია. რომ მთისა და ბარის გამოსავალი როგორც რუსიშვილებს და ხოხონაშვილებს სანახევროთ ქონებოდეს, ეხლაც იმ რიგათ გაურიგებდენ“** (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2007:320), (სეა, ფონდი 1449, საბ. #1281).

მე-XVIII-XIX ს-ში ისტორიულ საბუთებში, რამაზიშვილების/ რამაზაშვილების საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლები არიან დასახელებულნი: ბეჟან რამაზაშვილი (ჩანს 1682-1701 წწ.) (სეა, ფონდი 1450, დავთარი 34, საბ. #192 (1682 წ.)), (ხეც, ფონდი Qd-864 (1701 წ.)), (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, ტ. I, 1962:61-62), ძმები ბეჟან (ჩანს 1725- 1750 წწ.), ვახტანგ (ჩანს 1750 წ.) და მილახვარი შაწშე (ჩანს 1756-1807 წწ.) რამაზიშვილები, (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #5596), (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 1977:76), (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, 2007:385), (ხეც, ფონდი Qd-8664 (1725 წ.), (ხეც, ფონდი Qd- 9559 (1750 წ.), (ხეც, ფონდი Hd-1757 (1795 წ.), (ხეც, ფონდი Hd-726 (XVIII ს.), (ხეც, ფონდი Hd-1769 (1801 წ.)), დავით რამაზაშვილი (ჩანს 1739 წ.) (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #947 (1739 წ.)), ქაიხოსრო რამაზაშვილი (ჩანს 1757 წ.) (ხეც, ფონდი Hd-13061 (1757 წ.), გიორგი რამაზაშვილი (ჩანს 1797 წ.) (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #4868 (1797 წ.), მახარა რამაზაშვილი (ჩანს 1797 წ.) (ხეც, ფონდი Hd-6279 (1799 წ.), ზაალ რამაზაშვილი (ჩანს 1799 წ.) (ხეც, ფონდი Hd-6279 (1799 წ.)), ძმები ბერი და ასანა რამაზაშვილები (XVIII ს.) (ხეც, ფონდი Hd-6181 (XVIII ს.), (ხეც, ფონდი Hd-687 (XVIII ს.)), (ხეც, ფონდი Hd-773 (XVIII ს.)), (ხეც, ფონდი Hd-778 (XVIII ს.), ძმები ბეჟან და ლუარსაბ რამაზაშვილები (XVIII ს.) (სეა, ფონდი 1449, საბ. #756 (XVIII ს.), ძმები რამაზ და ანდრია რამაზიშვილები (XVIII ს.) (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ, #1046 (XVIII ს.), (სეა, ფონდი 1448, აღ. 1, საბ. #1076 (XVIII ს.)), როსტომ დავითისშვილი (რამაზაშვილი) (ჩანს 1801 წ.) (ხეც, ფონდი Hd-1768 (1801 წ.)), შანშე რამაზაშვილი (ჩანს 1801 წ.) (ხეც, ფონდი Hd-6401 (1801 წ.), დავით რამაზისშვილი (ჩანს 1807 წ.) (ხეც, ფონდი Sd-1144 (1807 წ.) და სხვ. თავად დავით ლევანის ძე რამაზაშვილის შვილიშვილმა, კონსტანტინე (კაკი) ლევანის ძემ, 1786 წელს სოფელ ფშაველში წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია ააშენა. მაგრამ მას ფშაველნი ედავებოდნენ ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებით. იმავე წელს, მან თხოვნის წიგნით მიმართა მეფე ერეკლე II-ეს, რათა მას გაერჩია ეს საქმე. მეფე ერეკლე II-მ და დედოფალმა დარეჯანმა გაარჩიეს ეს სადაო საქმე მის სასარგებლოდ (თელავის ისტორიული მუზეუმი (თიმ), ძველი დოკუმენტების - სიგელ-გუჯრების კატალოგი, 8 საქაღალდე, 3. #77, ფ.1-2 (1786 წ.). ეს ისტორიული საბუთი, აქამდე არსად არ იყო გამოქვეყნებული და ამ სტატიის ბოლოს, დანართის სახით იქნება მთლიანად მოყვანილი.

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, გეორგიევსკში, ხელი მოეწერა მფარველობით ტრაქტატს. ქართლსა და კახეთში მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა ოფიციალური ნუსხა შედგენილ იქნა მეფე ერეკლე II-ს ბრძანების თანახმად და წარმოადგენდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ოფიციალურ დანართს. ამ ნუსხაში მოხსენიებულია 62 თავადური და 317 აზნაურული გვარი, რომელნიც ტრაქტატის საფუძველზე გაუთანბრდნენ რუსეთის თავად-აზნაურულ გვარებს (გეორგიევსკის ტრაქტატი, 1983: 57-64).

1783 წლის ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში დავითიშვილები და რამაზიშვილები/რამაზაშვილები დასახელებულები არიან, როგორც თავადი **„დავითისშვილი ბაგრატოვანი“** (გეორგიევსკის ტრაქტატი, 1983: .58).

1796 წელს, მეფე ერეკლე II-მ განჯის ხანის ჯავათ-ხანის დასასჯელად, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სპარსეთის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევაში, თავისი შვილიშვილი, დავით ბატონიშვილი და შვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარით გაგზავნა. ამ ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, დავით ბატონიშვილის მილახვარმა - თავადმა როსტომ რამაზიშვილმა (დავითიშვილმა). ამ ლაშქრობის შესახებ, ცნობები მოყვანილი ჰყავს თეიმურაზ ბატონიშვილს თავის თხზულებაში, სადაც აღნიშნულია: **„ოდეს მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა ძის ძეჲ თჳსი დავით მეწუნავითა მხედრობითა განჯასაზედა და შეუდგინა მას კვალად სხვითა მხედრობითა ძეთჲსი ალექსანდრე. და მივიდნენ ესე მეფის ძენი განჯას და აღიღეს ქალაქი განჯა წელსა 1796-სა, ქორონიკონს 484, აპრილსა 3-სა, დღესა ხუთშაფათსა. ხოლო ამასში ნავიდრე თიბათჳს (ესე იგი ივნისის) ნახევრამდე ათექვსმეტ-გზის მოუნდათ ბრძოლაჲ მეფის ძეთა მხედრობასა და განჯელთა; და მარადის იძლივნეს განჯელნი და მოიკლა მელიქ მაჯნუმ, რომელიცა იყო სომეხი მელიქთაგან ჩალაბირთისათა. იყო ესე ადრინგანვე ჯავად-ხანისათანა და უყვარდა იგი მას და პატივსა ფრიანსა უყოფდა, და ცნობილიცა იყო იგი აღა-მაჰმად ხანისა და პატივცემულ მის მიერ, და თანა განმზრახიყო ჯავათ-ხანისა და მხედართ მძღვანი მისი, ჩინებული და გულოვანი, ქებული. ესე დაიკოდა ბრძოლასა შინა თოფით. მახლობელ ადგილსა მას, სადა იგი ბრძოდა მეფის ძე დავით. და ეგრე ჰგონებდეს მახლობელ მისსა მყოფნი, რომელ მოხუდა მას თოფი მეფის ძის დავითის მილახვრის როსტომისა, რომელიცა იყო ერთი თავადთ შთამომავლობითაგანი“** (თეიმურაზ ბაგრატიონი, 1972: 55-56).

1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის სისტემის დამყარების გამო, დავითიშვილთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა, მაგრამ მათ გვარს არც მაშინ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალება: თავადი დავითიშვილები, როგორც უწარჩინებულესი გვარის წარმომადგენელნი, აღიარებულნი და შეყვანილ იყვნენ რუსეთის იმპერიის თავადების სიაში (სეა, ფონდი #213, აღ. 1, საქმე #454 (1840 წ.), (სეა, ფონდი #213, აღ. 1, საქმე #759 (1847 წ.).

დღეს, თავად კონსტანტინე (კაკი) ლევანის ძე რამაზაშვილის (დავითიშვილის) შთამომავალი ლუკა დავითის ძე რამაზაშვილი თავის ოჯახთან

და ნათესავებთან ერთად, ცხოვრობს კახეთში, კერძოდ სოფელ ფშაველში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და ახალი, აქამდე გამოუქვეყნებელი საბუთების საფუძველზე მოგვყავს თავად დავითიშვილების და რამაზი-შვილების/რამაზაშვილების გენეალოგიური ტაბულის ფრაგმენტი.

დანართი

ფ.1

სიგელის თავში აწერია:

„ქ. ჩვენი ბრძანება არის. ამ არზის პატრონს ეს არზი ბატონს დედოფალს დარეჯანს მიართვი მოსამართლენიც თან ახლდებიან და სამართალი მოგეცემა. დეკემბერს იგ [13], ქ[ორონი]კ[ონ]ს უოდ [1786 წ.]“.

უზის მეფე ერეკლე II-ის ბეჭედი:

„ქნარს მიცემს, დავით მიმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე“.

„ქ. ღ˜თნ[ღმერთმან]ბედნიერის ჭელმწიფის ჭირიმოსცეს რამაზასშვილს კაკას. მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს ჭელმწიფეს ამ თვენი ხანი თავს გაწყენთ. და კიდეც მეშინიან თქვენის სიმაღლისა მაგრამ რა ვქნა ჩემო ჭელმწიფევ. ჩემი სამკვიდრო მამული მერთმევა. ერთობლივ სოფელმა რომ თავი გაწყინათ და ოქმი უბოძეთ. ისინი სულ ჩემნი მოდავენი გახლავან. ჩემთვის ისინი როდის მოგახსენებდნენ სწორეს. თქვენს წ˜ე [წინაშე] არც მოწამე მომაყვანინეს. და არც როდესაც იმათ სიტყუა უბძანეთ მეორეთ მაშინ მე იქ არ გახლდი. თუ ინებებთ და თქვენი მოწყალება და შემართება. აქ გახლავთ ჩემი მოწამე. სასანიასშვილი ბერო. გორელი მარტილოზა თქვენი ყმა. როსტიასშვილი შარმაზანი. მწედლისშვილი დათუნა მოხუცებული კაცი ფშაველში. ბაბადიშის მოწმობის წიგნიცა მაქვს. რომ სიკვდილის დღეში ჭიაბერასშვილიც დავითიც იქ დაესწრა იმასაც თქვენი მზე აფიცეც. აქ გახლავთ როგორც გაუგონია ბაბადიშისაგან“.

მარცხენა მხარეს აწერია:

„ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ ამ არზის პატრონი მისს უმაღლესობას ბატონს თქვენი სამართალი რომ ჩვენთვის უბძანებია. ჩვენთან სამართალში გალაპარაკათ. მაგრამ არ გადასწყდა. ბატონის მობძანებამდინ უნდა მოიცადონ. ის მოგახსენებთ. ასლანი და კიდევ კომშიაშვილი ქიტა და გაგილა იმისი სახლის კაცია. კიდევ მრავალნი გახლავან ჩემნი [ფ.2] მოწამენი თუ თქვენი მოწყალება და შემართება ჩემს მამულში საყდარს მე ვაშენებ. სალოცავათ კი არავის დაუშლი და სასაფლაო კი სხვაგან გვაქვს. დეკენბრის ᲗᲑ [8], ქ[ორონი] კ[ონ]ს უოდ [1786 წ.]. ჩემო ჭელმწიფევ, რადგან თქვენი სიმაღლე მობძანდება. აქ ხომ ჩემნი მოწამენი გიახლებიან. ჭელმწიფე დედოფალს ებრძანოს ჩემი და ფშაველთ სამართალი. თორემ თქვენს უბრძანებლად თქვენს ოქმს ჭელს ვერ შეახებენ და ჩემი სამართალი დარჩება“.

მარცხენა მხარეს აწერია:

„და ღ˜თით [ღმერთით] ბატონი რომ მობრძანდება მისი უმაღლესობა. ნახავს იმ ადგილსა და სამართლით გაარჩევს. და თუ მისი უმაღლესობა დაიგვიანებს მობძანებასა და ჩვენ მოვიცდით იქნება რომ ჩვენ ვნსხოთ და გავარჩიოთ თქვენი საქმე. და ბატონის მობძანებამდი ნორ თავსაკირე დასწვით და საკირის დაწვას ნუ მოაცდენთ. ღ˜თით [ღმერთით] თქვენი

საქმე მას უკან კარგათ გაირჩევა. დეკემბერს იდ [14], ქ[ორონი]კ[ონ]ს უოდ [1786 წ.]".

უზის დედოფალ დარეჯანის ბეჭედი:

„ვინ არს მიზეზი არსთა მქონისა, მან მცა წიაღი დედოფლობისა, დარეჯან"[1].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

bagrationi, i. (1997). *shemoklebit agtsera saqartvelosa shina mcxovrebta tavadta da aznaurta gvarebisa*. redaqtori da gamomtsemeli z. katselashvili. tbilisi. (ბაგრატიონი, ი. (1997). *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.* რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი. თბილისი.)

bagrationi, t. (1972). *davit bagrationis istoria*. teqsti gamosatsemat moamzada, gamokvleva da sadzieblebi daurto t. enukidzem. tbilisi. (ბაგრატიონი, თ. (1972). *დავით ბაგრატიონის ისტორია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბილისი.)

berdzenishvili, n. (1953). *dokumentebi saqartvelos socialuri istoriidan.* t. II. tbilisi. (ბერძენიშვილი, ნ. (1953). *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან.* ტ. II. თბილისი.)

bichikashvili, i. Ninidze, d. Chikovani, i. (2003). saqartvelos samefo dinastiis - bagrationebis genealogia: tabula # 6 - kaxetis mefeebi bagrationta dinastiidan. *bagrationebi. sametcniero da kulturuli memkvidreoba.* tbilisi. (ბიჭიკაშვილი, ი. ნინიძე, დ. ჩიქოვანი, ი. (2003). საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია: ტაბულა #6 - კახეთის მეფეები ბაგრატიონთა დინასტიიდან. *ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა*. თბილისი.)

bichikashvili, i. (2016). *bagrationebi. Saqartvelos samefo dinastia da misi ganshtoebebi*. tbilisi. (ბიჭიკაშვილი ი. (2016). *ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები*. თბილისი.)

bichikashvili, i. (2016). *bagrationebi. Saqartvelos samefo dinastiis da misi ganshtoebebis genealogia*. tbilisi. (ბიჭიკაშვილი, ი. (2016). ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია. თბილისი.)

bichikashvili i. (2021). *the bagrationi dynasty*. tbilisi.

georgievskis traktati. (1983). *teqsti gamosatsemad moamzada, shesavali da shenishvnebi daurto g. paitchadzem.* tbilisi. (გეორგიევსკის ტრაქტატი. (1983). *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ.* თბილისი.)

1 ტექსტში გამოყენებული შემოკლებები: სეა - საქართველოს ეროვნული არქივი; ხეც - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; თიმ - თელავის ისტორიული მუზეუმი. საარქივო დოკუმენტებზე მითითება იხ. ტექსტში.

gorgijanidze farsadan. (1854). *saqartvelos tsxovreba*. tsignshi: qartlis tcxovreba, natcili II. gamotsemuli d. chubinashvilisagan. spb. გორგიჯანიძე ფარსადან. (1854). საქართველოს ცხოვრება. წიგნში: ქართლის ცხოვრება, ნაწილი II. გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან. სპბ.

gorgijanidze farsadan. (1913). *saqartvelos istoria.* tbilisi. გორგიჯანიძე ფარსადან. (1913). საქართველოს ისტორია. თბილისი.

Gorgijanidze, f. (1925). saqartvelos istoria. s. kakabadzis gamotsema. *saistorio moambe*, II. tbilisi. (გორგიჯანიძე, ფ. (1925). საქართველოს ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. *საისტორიო მოამბე*. II. თბილისი.)

dokumentebi tbilisis istoriisatvis. (1962). t. I. tbilisi. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. (1962). ტ. I. თბილისი.

qartlis tcxovreba. (1959). t. II. *teqsti dadgenili khvela dziritadi xelnatseris mixedvit s. khauxcishvilis mier.* tbilisi. (ქართლის ცხოვრება. (1959). ტ. II. *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.* თბილისი.)

vachushti batonishvili. (1973). agtsera samefosa saqartvelosa. *qartlis cxovreba.* t. IV. teqsti dadgenili khvela dziritadi xelnatseris mixedvit s. khauxchishvilis mier. tbilisi. (ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.)

kakabadze, s. (1913). *istoriuli sabutebi.* III. tfilisi. (კაკაბაძე, ს. (1913). ისტორიული საბუთები, III, ტფილისი.)

mtsire qronikebi (kinklosebis istoriuli minatserebi). (1968). *teqsti gamostca, shesavali tserili da komentarebi daurto j. odishelma.* Tbilisi. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). (1968). *ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა.* თბილისი.

Ninidze, d. (1993). savaxtango. *masalebi saqartvelos soflebis istoriisatvis.* nakv. IV. tbilisi. (ნინიძე, დ. (1993). სავახტანგო. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის. ნაკვ. IV, თბილისი.)

Ninidze, d. (1999). *"aka anbavni tvaldamtsvrianta".* tbilisi. (ნინიძე, დ. (1999). *„აქა ანბავნი თვალდამწვრიანთა".* თბილისი.)

Ninidze, d. (2004). *bagrationta samefo saxlis ganshtoebata istoria (XIII-XVIII ss).* tbilisi.(ნინიძე, დ. (2004). *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII სს).* თბილისი.)

pirta anotirebuli leqsikoni XI-XVII ss. qartuli istoriuli sabutebis mixedvit. t. I (1991). *gamosacemad moamzades: d. kldiashvilma, m. surguladzem, e. tsagareishvilma, g. jandierma.* tbilisi. (პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. (1991). გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბილისი.)

pirta anotirebuli leqsikoni XI-XVII ss. qartuli istoriuli sabutebis mixedvit. t. II (1993). *masalebi moamzades: d. kldiashvilma da m. surguladzem. tomis redaqtori e. tsagareishvili.* tbilisi. (პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული

ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. II. (1993). *მასალები მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. ტომის რედაქტორი ე. ცაგარეიშვილი.* თბილისი.)

pirta anotirebuli leqsikoni XI-XVII ss. qartuli istoriuli sabutebis mixedvit. t. IV (2007). *masalebi moamzades da gamosacemad moamzades: g. otxmezurma, g. mchedlidzem, m. surguladzem, d. jgentma, a. baqradzem, t. enuqidzem da d. kldiashvilma. tomi sheadgines m. surguladzem da d. kldiashvilma.* tbilisi. (პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. IV. (2007). *მასალები მოამზადეს და გამოსაცემად მოამზადეს: გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ და დ. კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა.* თბილისი.)

jordania, t. (1897). *qronikebi da sxva masala saqartvelos istoriisa da mtserlobisa.* t. II. tbilisi. (ჟორდანია თ. (1897). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* ტ. II. თბილისი.)

feshangi (1935). *shaxnavaziani.* g. leonidzis da s. iordanishvilis redaqciit. tbilisi.(ფეშანგი. (1935). *შაჰნავაზიანი.* გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბილისი.)

qartuli samartlis dzegleni. t. IV (1972). *teqstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto i. dolidzem.* tbilisi. (ქართული სამართლის ძეგლები. ტ.IV. (1972). *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დილიძემ.* თბილისი.)

qartuli samartlis dzegleni. t. VI (1977). *teqstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto i. dolidzem*. tbilisi. (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. (1977). *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დილიძემ.* თბილისი.)

tsxovreba saqartvelosi (parizis qronika). (1980). *teqsti gamosacemad moamzada, shesavali, shenishvnebi da sadzieblebi daurto g. alasaniam.* tbilisi. (ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). (1980). *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ.* თბილისი.)

janashvili, m. (1904). tvaldamtsvrianebi. gazeti *"iveria".* №38. tfilisi. (ჯანაშვილი, მ. (1904). თვალდამწვრიშვილები. გაზ. *„ივერია“.* # 38. ტფილისი.)

Anchabadze, G. (1990). *Istochnikovedcheskie problemi voenoi istorii Gruzii.* Tbilisi. (Анчабадзе, Г. (1990). *Источниковедческие проблемы военной истории Грузии.* Тбилиси.)

Bakradze, D. (1873). Kavkaz v drevnix pamiatnikax xristianstva. *akti sobranie Kavkazskoiu arxeograficheskoiu komisieiu.* T. V. Tiflis. (Бакрадзе Д. (1873). Кавказ в древних памятниках христианства. *Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею.* Т. V. Тифлис.)

Gvasalia, Dj. (1991). *Istoricheskaia geografia Vostochnoi Gruzii.* Tbilisi. (Гвасалиа, Дж. (1991). *Историческая география Восточной Грузии.* Тбилиси.)

Dvorianskie rodi Rossiskoi imperii, T. III. Kniazia. (1996). *Pod redaktsiei S. V.*

Dumina. moskva. (Дворянские роды Российской империи. Т. III. Князья. (1996). *Под редакцией С. В. Думина*. Москва.)

Kakabadze, S. S. (1967). *Gruzinskie dokumenti Instituta Narodov Azii.* moskva. (Какабадзе С. С. (1967). *Грузинские документы Иститута Народов Азии* АН СССР. Москва.)

Rossiiskaia rodoslovnaia kniga *izdavaemaia kniazem Petrom Dolgorukovim.* chast III. (1856). SPb. Российская родословная книга *издаваемая князем Петром Долгоруковым*. Часть III. (1856). СПб.

Rospis pokolennaia kniazei gruzinskie zemli kniazia Khokhoni da kniazia Elizbara Romanovichev Davidovix. (1979). Materiali po istorii russko-gruzinskix otnoshenii (80-90-e godi XVII veka). Chast II. *Dokumenti k pechati podgotovil, predisloviem i komentariami snabdil G. G. Paichadze.* tbilisi. (Роспись поколенная князей грузинские земли князя Хохоны да князя Элизбара Романовичев Давыдовых. (1979). Материалы по истории русско-грузинских отношений (80-90-е годы XVII века). Часть II. *Документы к печати подготовил, предисловием и комментариями снабдил Г. Г. Пайчадзе*. Тбилиси..

Jorjadze I. (1989). *Istoria voennogo iskustva Gruzii.* tbilisi. (Джорджадзе И. (1989). *История военного искусства Грузии*. Тбилиси.).